საქართველო
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF DEDOPLISTSKARO MUNICIPALITY

ბრძანება:№56. 56233394
თარიღი:05/12/2023

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის

ბრძანება

შ.პ.ს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ (ს.კ 230866435) ქალაქ დედოფლისწყაროში დედოფლისწყაროს კირქვის საბადოს „ჩრდილო-დასავლეთ“ უბანზე, შპს „თერჯოლა-კარიერზე“ გაცემულ სალიცენზიო კონტურთან მისასვლელი და საკარიერო გზის მოწყობის 8096მ^2 მშენებლობის პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 57-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 62 მუხლის მე-2 პუნქტის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების მე-9 მუხლის მე-2 შესაბამისად და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურმა (ს.ღორაშვილი) შეითანხმოს ქალაქ დედოფლისწყაროში დედოფლისწყაროს კირქვის საბადოს „ჩრდილო-დასავლეთ“ უბანზე, შპს „თერჯოლა-კარიერზე“ გაცემულ სალიცენზიო კონტურთან მისასვლელი და საკარიერო გზის მოწყობის 8096მ^2 მშენებლობის პროექტი და გასცეს მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

2. მშენებლობის ნებართვის მიმღებმა 7 (შვიდი) დღით ადრე უზრუნველყოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათვის სანებართვო მოწმობაში მითითებული სანებართვო პირობებით განსაზღვრული მშენებლობის შესაბამისი ეტაპის დაწყების და მიმდინარე ეტაპის დასრულების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

3. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა (შ.ლოლაშვილმა) უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზედამხედველობა მშენებლობის მიმდინარეობაზე.

4. მშენებლობის ნებართვის მიმღებმა მშენებლობა აწარმოოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის N361 დადგენილების „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ სრული დაცვით.

5. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

6. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან(ქ.დედოფლისწყარო კოსტავას ქ.N44) და შემდგომ სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ.სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქ.N15) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გელა სამუკაშვილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია-მერის
პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი